

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
ზურაბ ტატიშვილის მიერ გაწეული მუშაობის
ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოდგენილი ანგარიშით გაგაცნობთ მუშაობის შედეგს გასული 2014 წლის 1 აგვისტოდან დღემდე.

როგორც საკრებულოს წევრი აქტიურ მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს სხდომებში სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას. ასევე ვარ ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი, სადაც შემოსული საკითხების განხილვაში აქტიურად ვმონაწილეობ.

აღნიშნულ პერიოდში მოხდა შეხვედრები მოსახლეობასთან, სადაც წამოიჭრა მრავალი პრობლემა. კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება საგზაო ინფრასტრუქტურა. ეს ეხება როგორც ცენტრალურ, ასევე საუბნო გზების მშენებლობას: მოხრეშვა-მობეტონება. ასევე პრობლემატურია სასმელი წყლის ქსელის მოწესრიგება. სათავეწაგებობების გაუმართაობის გამო აღნიშნული პრობლემა აქტუალურია. მოსახლეობა გზების მოწესრიგებასთან ერთად ხაზს უსვავს ხიდების, და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის საჭიროებას. აღნიშნული პრობლემები ნაწილობრივ მოგვარებულია, გარემონტდა სასოფლო და საუბნო გზები.

პრობლემურია სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობა, ამ პერიოდში მქონდა შეხვედრები მოქალაქეებთან, უშუალოდ მათგან მოვისმინე არსებული პრობლემები. შეხვედრებისას გამოიკვეთა სხვადასხვა სოციალური საკითხი. ბევრ მათგანს ესაჭიროება დახმარება ამ კუთხით, მაქსიმალურად ვცდილობ ვუშუამდგომლო იმ სტრუქტურებთან, რომელთა კომპეტენციაშიც შედის საკითხის მოგვარება. ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვცდილობ შეძლებისდაგვარად დავეხმარო მათ.

მთელი ჩემი გამოცდილებით, დარჩენილ უფლებამოსილების ვადაში, შევეცდები კვლავ აქტიურად ვიყო ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაჭრასა და მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი



/ზურაბტატიშვილი/